

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №66

ქ. თბილისი

„ 20 “ მარტი “ 2015 წ.

საქართველოს კანონი “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 ოქტომბრის განკარგულება № 1919

გამარტივებული შესყიდვა

ერთი მხრივ, სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), ფონდის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ გვანცელაძის სახით და

მეორეს მხრივ შპს “იუ-ჯი-თი”, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ქ. თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენას კომპიუტერული ქსელის ელექტრო უზრუნველყოფის სამუშაოები (CPV-45231400).

1.2 შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი, მოცულობები, ერთეულის ფასები და სხვა სპეციფიკაციები მოცემულია ხელშეკრულების დანართ N 1-ში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, ხელშეკრულების დანართ N 1-ზე (ხარჯთაღრიცხვა) შემსყიდველის დაკვეთით და მისი ხარჯით მიმდინარეობს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი ხარჯთაღრიცხვაში, ამასთან, თუ ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ჯამური ღირებულება შემცირდა, ხელშეკრულებასთან დართულ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, ადეკვატურად შემცირებულ იქნება ხელშეკრულების დანართი ხარჯთაღრიცხვის ღირებულებაც, ექსპერტიზის მიერ რეკომენდირებულ ღირებულებამდე;

1.4 პროექტის შესრულებისათვის სხვადასხვა ნებართვების აღება განიხილება თანამდევი მომსახურების სახით და წარმოადგენს მიმწოდებლის ვალდებულებას, გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ასაღები ნებართვებისა, რომელსაც უზრუნველყოფს შემსყიდველი.

შენიშვნა¹: ხარჯთაღრიცხვებში მოცემულია გამოსაყენებელი მასალების ტიპი და გულისხმობს მითითებული მასალის ეკვივალენტურს და მსგავსს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 130,420.16 (ასოცდაათიათას ოთხასოცი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და კომუნალურ გადასახადებს (მოხმარებული ელექტროენერგია, წყალი, გაზი).

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაადლო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 2015 წლების სახსრები.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც შემსყიდველის მიერ გამოყოფილ იქნება პირთა ჯგუფი.

3.2. შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ან/და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით აცნობებს მიმწოდებელს ნაკლის ან დეფექტის მქონე სამუშაოების ან/და გამოყენებული მასალების შესახებ, შესაბამისი მიზეზების მითითებით.

3.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

მუხლი 4. სამუშაოების შესრულების გრაფიკი:

სამუშაოების შესრულების ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართ N 2 - ში (კალენდარული გეგმა-გრაფიკი), რომლის ცვლილებაც შესაძლებელია მხოლოდ არგუმენტირებული პირობების შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5. სამუშაოთა შესრულების წესი:

5.1 სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით, ხელშეკრულების პირობებით და საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით. შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია, წარუდგინოს შემსყიდველს გამოსაყენებელი ელექტრო სადენების ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

5.2 სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა:

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა იქ სადაც ეს შესაძლებელია.

მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.

სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

5.3 გეოდეზიური ზედამხედველობა:

საჭიროების მიხედვით შემსრულებელი თავისი ძალებითა და სახსრებით ჩამოაყალიბებს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.

5.4 ნორმატიული დოკუმენტები:

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს იმ ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების წარმოების წესებსა და პირობებს.

მოქმედი კანონებიდან/წესებიდან/ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები;

5.5 სამუშაოთა წარმოების ჟურნალი:

სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა საკუთარი სურვილასმებრ არსებული წესების შესაბამისად უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი.

5.6 უსაფრთხოება:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას "მიმწოდებელმა" თითოეული სამუშაოსათვის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. "მიმწოდებელი" კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობითაა დადგენილი.

მიმწოდებელი ვალდებული იქნება სამშენებლო მოედანი უზრუნველყოს საჭირო ოდენობით ცეცხლმაქრებით;

"მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები, საჭირო ოდენობით.

სამუშაოების მიმდინარეობისას ობიექტზე მომუშავე ყველა პირი უნდა იყოს შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით (უსაფრთხოების ჟილეტი, ჩაფხუტი, სპეც. ქურთუკი, სპეც. ფეხსაცმელი და ა. შ) აღჭურვილი.

მიმწოდებელი ვალდებული იქნება დაამზადოს და სამშენებლო მოედნების მიმდებარე ადგილებზე განათავსოს მშენებარე ობიექტის შესახებ სათანადო ინფორმაციის შემცველი ბანერები.

5.7 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება სამუშაოების გარკვეული ნაწილის/საბოლოო დამთავრების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების (ფორმა N2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში)) წარმოდგენის შემდეგ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესრულებულ სამუშაოებზე შემსყიდველი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ექსპერტიზის ჩატარებას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა, სამუშაოების ხელშეკრულებასთან და პროექტთან შესაბამისობის, ასევე ხარისხისა და მოცულობის შესახებ. გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება, რომ დასკვნა გაცემულია „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების და „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 12.07.2012 წლის №1-1/1463 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით და რომლითაც დადგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან (თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან), რის საფუძველზეც მოხდება შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარება დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.

6.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების და „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 12.07.2012 წლის №1-1/1463 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

6.3. სამუშაოების მიღების ყოველი ეტაპის და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირები, რომელთა ვინაობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ გამოცემული ცალკე ბრძანებით.

მუხლი 7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7.2. შესრულებულ სამუშაოზე გავრცელდება საგარანტიო ვადები, დასრულებიდან 3 (სამი) კალენდარული წლის განმავლობაში იმ შემთხვევაში თუ სტადიონის პერიმეტრზე შემსყიდველის მიერ დაცული იქნა შესაბამისი კომპიუტერული საქსელო ინფრასტრუქტურის ელექტრო უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაციის წესები. საგარანტიო ვადების განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გონივრულ ვადაში, აღმოფხვრას ყველა ის დაზიანება, რომელიც გამოვლინდება შესრულებულ სამუშაოებზე, გარდა ისეთი ხარვეზებისა და დაზიანებებისა, რომლებზეც მიმწოდებელი წარმოადგენს მოტივირებულ არგუმენტს, რომ ხარვეზი არ არის გამოწვეული შესრულებული სამუშაოების წუნით;

7.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის მიმართ განხორციელდება ხელშეკრულებით ვალდებულებათა შესრულების ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები. თუ მიმწოდებელი ჩათვლის რომ გამოვლენილი დაზიანებები გამოწვეული არ არის შესრულებული სამუშაოების წუნით, ამის შესახებ უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი არგუმენტაცია.

7.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებლის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო განსაზღვრული საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მოხდება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების და „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 12.07.2012 წლის №1-1/1463 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით მომზადებული ექსპერტიზის აქტის შემდეგ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების პროპორციულად (გარდა ამ მუხლის 8,2 პუნქტით გათვალისწინებული პირობისა), შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ა/ვ წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8.2. შესაძლებელია მოხდეს საავანსო ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების 70 %-ს ოდენობით, მიერ გაცემული საავანსო თანხის იდენტური ოდენობის უპირობო, მიმწოდებლის მიერ გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის საფუძველზე. საავანსო თანხის საბანკო გარანტიის ღირებულების შემცირება მოხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად. მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „თეთრი სიის წარმოების“ პირობები.

8.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა გრძელდებოდეს 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

8.4 ავანსით გაცემული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით.

8.5. საავანსო ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ საავანსო თანხის უპირობო, მიმწოდებლის მიერ გამოუთხოვადი, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ავანსის დაკავება მოხდება შესრულებული სამუშაოების პირდაპირ პროპორციულად.

8.6. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე ან/და ხელშეკრულება შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულების , 12.4, პუნქტით ან/და მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს გარანტს საავანსო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოების თანხის სრულად დაბრუნების მიზნით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

არ მოითხოვება

მუხლი 11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

11.2. შემსყიდველი ვალდებულია:

11.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

11.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

11.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

11.2.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე დაუშვას მიმწოდებელი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

11.2.6. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო პირობების არსებობა მოედნებზე;

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

11.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

11.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, მოქმედი სტანდარტების, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით;

11.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

11.3.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

11.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11.4.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

11.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;

11.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ან/და შეცვალოს გამოყენებული უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

11.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;

11.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

11.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

11.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

11.4.10. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2. თუ მიმწოდებელი სამუშაოების დასრულებას გადააცილებს კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ დასრულების ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

12.2.1 მიმწოდებელს ზემოხსენებული ოდენობით დაერიცხება ასევე პირგასამტეხლო მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. ამ შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყება შემსყიდველის მიერ წერილობითი მითითებით განსაზღვრული გონივრული ვადის გასვლის შემდეგ.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1,5 % - ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

12.6. თუ მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს არ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და შესაბამისად გადაიწვეს შესრულების ვადები;

12.7. როგორც შემსყიდველისათვის, ისე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დასჭირდება დასკვნის (ცნობის) გასაცემად.

მუხლი 13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის

ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

„შემსყიდველი“:

„შემსყიდველი“

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“

მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33 ა

ს/ს. „ლიბერთი ბანკი“

კოდი: LBRTGE22

ა/ა № GE63LB0121131932514000

ს/კოდი: 205298211

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების

ფონდი“-ს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

კახაბერ გვანცელაძე



„მიმწოდებელი“:

შპს „იუ-ჯი-თი“

ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა

0179, თბილისი, საქართველო

ს/კ: 204 892 964

ტელ: 22 05 05/ფაქსი: 22 02 06

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა:GE88BG0000000261644601

შპს „იუ-ჯი-თი“-ს გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე

დინამო სტადიონის კომპიუტერული ქსელის ელექტრო უზრუნველყოფის ხარჯთაღრიცხვა

#	აღწერილობა	განზ-ბა	რაო-ბა	მასალა		ხელფასი		ავტომატნიკები და ტრანსპორტი	
				ერთ. ფასი	ჯამ.ფასი	ერთ. ხელფასი2	ჯამ. ხელფასი3	ერთ. ტრანსპორტ	ჯამ. ტრანსპორტ
1	დამჭერი შუალედური - სპა კაბულის ბოძზე სამზარეულო	ცალი	50	8.00	400.00	5.00	250.00		650.00
2	განაყოფის ბოძებზე სადენის და ტრისის სამაგრი შედუღება	ცალი	50	3.20	160.00	6.00	300.00		460.00
3	მზვრებელი მიმჭერი-სპა კაბულის კოლფინი,ცხი 4 ცალი თითო გარე რეკსივის	ცალი	36	5.00	180.00		-		180.00
4	ავტომატური ამომრთველი 25A-C 3p	ცალი	4	21.39	85.56		-		85.56
5	ავტომატური ამომრთველი 25A-C 1p	ცალი	5	7.00	35.00		-		35.00
6	ავტომატური ამომრთველი 10A-C 3p	ცალი	10	21.39	213.90		-		213.90
7	ავტომატური ამომრთველი 16A-C 1p	ცალი	7	5.50	38.50		-		38.50
8	ავტომატური ამომრთველი 10A-C 1p	ცალი	6	4.96	29.76		-		29.76
9	ავტომატური ამომრთველი 6A-C 1p	ცალი	130	5.86	761.80		-		761.80
10	ვერტებულ კოლოფი 2 მეტრი (45x45 155)		27	4.60	124.20	1.25	33.75		157.95
11	ვლ. რობეტი 23x4 (45x45) წითელი		54	2.16	116.75	2.50	135.00		251.75
12	CIP სადენი ABC 4x35	მეტრი	1100	4.24	4,661.03	2.50	2,750.00		7,411.03
13	კარადმი მსხვერპლი კაბულის ბოლოების მიერთება ბოძზე გატარებული (4x35mm) სადენზე	მარდვი	36		-	2.75	99.00		99.00
14	კალითაინი ავტომობილის ქორაბა	დენი	9		-		-	180.00	1,620.00
15	სადენი 5x6	მეტრი	100	5.93	593.00	1.25	125.00		718.00
16	სადენის გასაცვანად ტრისის მოზადება მოედნის ქვედა მხტაში	მეტრი	600		-	2.00	1,200.00		1,200.00
17	სადენის გასაცვანად ტრისის მოზადება ზედა მხტაში	მეტრი	700		-	2.00	1,400.00		1,400.00
18	სადენი 4x4 გარე მოზტაჟის (განათების ბოძებიდან კარადმიოლქტრო დენის მისაცვანად)	მეტრი	200	3.39	678.00	1.25	250.00		928.00
19	სადენი 3x1.5	მეტრი	3300	1.02	3,366.00	0.58	1,914.00		5,280.00
20	სადენი 3x6	მეტრი	1478	3.65	5,387.31	1.00	1,478.00		6,865.31
21	გამანაწილებელი კოლოფი 2ავტომატზე	ცალი	17	3.39	57.63	6.00	102.00		159.63
22	გამანაწილებელი კოლოფი 4ავტომატზე (მოედნის რეკსივისთვის)	ცალი	3	4.23	12.69	7.00	21.00		33.69
23	კარადა პლასტმასის გ/მ 12 ადგ	ცალი	5	39.86	199.30	62.50	312.50		511.80
24	კარადა პლასტმასის გ/მ 24 ადგ	ცალი	4	56.59	226.36	62.50	250.00		476.36
25	კარადა პლასტმასის გ/მ 36 ადგ	ცალი	1	85.35	85.35	62.50	62.50		147.85
26	დამზღვების კლეშ	ცალი	25	8.00	200.00		-		200.00
27	ნეიტრალის კლეშ	ცალი	25	6.00	150.00		-		150.00
28	ლითონის საკაბელო არხი 40x200-ზე სასერვიოდან ელექტრობის გარე რიგეამდე მისაცვანად, ასევე მხტაში არსებული კარადიდან ცენტრალურ (სასერვიოდან) მოხვალ მავისტრალამდე კავშირისთვის	მეტრი	87	9.21	801.44	2.50	217.50		1,018.94
29	ლითონის საკაბელო არხის სახურავი	მეტრი	88	4.72	415.36	1.50	132.00		547.36
30	ლითონის საკაბელო არხის კედლის სამაგრი	ცალი	66	3.67	242.22		-		242.22
31	საკაბელო არხის 90 გრადუსიანი კუთხე	ცალი	3	17.73	53.19		-		53.19
32	საკაბელო არხისთვის 90 გრადუსიანი კუთხის სახურავი	ცალი	3	7.46	22.37		-		22.37
33	განმყოფა საკაბელო არხისთვის		1	14.90	14.90		-		14.90

69	ლითონის ფურცლის დაჭრა 1-2 სმ-იან ზოლზე და (საკაბელო არხების დაკეცვა) ოპტიკის დამკვეთის ტრინი	მეტრი	225					0.60	135.00	135.00	135.00
70	კვადრატული 1200მ-იანი მილის დაჭრა	ცალი	18					7.50	135.00	135.00	135.00
71	დ57 მმ-იანი მილის დაჭრა - დამზადება 3(3-3) მეტრის სვეტზე (ამ მილით ულექტრო და ოპტიკური კაბელები ჩავლენ კაბი და შემდგომ ამოტრიალდებიან და ქვედა მხრიდან 120-იანი კვადრატული მილების საშუალებით მულან კრანთან).	ცალი	9					6.25	56.25	56.25	56.25
72	შესადღებულ საშუალები, ელექტროდებით და სხვა ხარჯებით	კომპლ.	9					40.00	360.00	360.00	360.00
73	შვედურის დაჭრა 50მ-იანზე	ცალი	18					5.00	90.00	90.00	90.00
74	მეტალის რეშეტა MR 2628		1	15.25				3.00	3.00	3.00	18.25
75	ვენტცხურ-ლითონის MBM 150 c	ცალი	25	6.00	150.00			3.00	75.00	75.00	225.00
76	შაბლონის დამზადება ცხურისთვის	ცალი	1					10.00	10.00	10.00	10.00
77	შაბლონის დამზადება ცხურისთვის	ცალი	25					3.00	75.00	75.00	75.00
78	ფილტრის დაცემა, იზოლაციის და ქაჩკეების საშუალებით	ცალი	25					3.00	75.00	75.00	75.00
79	ენდერის თარი წიფლი (kayin) 35*60 აპარატურის სამკურნალების შაბლონის დასამზადებლად	ცალი	1	4.99				4.99	-	-	4.99
80	ენდერის თარისგან შაბლონის დამზადება	ცალი	1					25.00	25.00	25.00	25.00
81	სხვა მასალები და ხარჯები ჩორბით	ლარი	72	3.20				230.40	-	-	230.40
82	ტურნეტების ღირებულება შორის კავშირის მოსაწყობად ხელნის დასხმად, მთელ გაცხელებისთვის შაბლონის დასამზადებელი მასალები (მლუბულა და ამოვიდნენ ზუსტად ტურნეტების ზოგბის მიხედვით დატოვებულ ნახერხებში)	კომპლექტი	1	400.00				400.00	-	-	400.00
79	შაბლონის დამზადება ტურნეტების ღირებულება შორის კავშირისთვის, შესაბამისი მასალების გამოყენებით		3					325.00	975.00	975.00	975.00
80	ტრასის მიძიება-მოზადება შაბლონ ბლოგანი მაგისტრალის გასატარებლად	მეტრი	360					1.96	705.60	705.60	705.60
81	სადენი C4x50+1x25	მეტრი	300	45.00	13,500.00			9.00	2,700.00	2,700.00	16,200.00
82	სადენი C4x50+1x25 (ნახტაში როტულ მონაკვეთზე გაცემით)	მეტრი	60	45.00	2,700.00			17.00	1,020.00	1,020.00	3,720.00
83	სადენის (C4x50+1x25) სამაგრი	ცალი	300	4.50	1,350.00			-	-	-	1,350.00
1	ჯამი							42,085.50	30,788.41	1,620.00	72,873.91
4	ზედნადები ხარჯები (მუშახელის ხელფასიდან)		75%								23,091.31
5	ჯამი (მოწყობლობა დანადგარების ღირებულების გამოკლებით)										95,965.22
6	გვემოური დაგროვება		8%								7,677.22
7	ჯამი (ავტომატების და ტრანსპორტის ჩათვლით)		5%								105,262.44
8	გაუფულისწინებელი ხარჯები										5,263.12
9	ჯამი										110,525.56
12	დღგ										19,894.60
13	ჯამი (ლარი დღგ-ს გათვალისწინებით)										130,420.16



მიმწოდებელი
 შპს "იუ-ჯი-თი"-ს გენერალური დირექტორი
 ერმილე სულაბე



შემსყიდველი
 სსიპ "ატექნოლოური განვითარების ფონდი"-ს
 უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
 კახაბერ გვანცელაძე

დანართი №2 2015 წლის 20 მარტს გაფორმებულ №66 ხელშეკრულებასთან
სამუშაოების განხორციელების გეგმა-გრაფიკი

	მარტი												
	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1													
2													
3													
4													

- 1 სტადიონის პერიმეტრზე განათების ბოძებზე CIP ელექტრო სადენების მონტაჟი
- 2 ტურნიკებამდე ელექტრო სადენების მიყვანა და დენით უზრუნველყოფა
- 3 საკომუნიკაციო კარადებამდე ელექტრო სადენების მიყვანა და დენით უზრუნველყოფა
- 4 სასერვერო ოთახამდე 2 ქვესადგურიდან ხალოვანი ელექტროკაბელების მიყვანა და დაერთვა

შემსრულებელი

სსიპ "ტექნოლოგიური განვითარების ფონდი"-ს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

კახაბერ გვანცელაძე



Handwritten signature in blue ink.

მიმწოდებელი

შპს "იუ-ჯი-თი"-ს გენერალური დირექტორი

ერზილე სულაძე



Handwritten signature in blue ink.